# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

N 5209/01
24/05/2019

5209-01-2-201905241344

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს
ქალბატონ თამარ მეშველიანს

ქალბატონო თამარ,

გიგზავნით შესაგებელს, თქვენს წარმოებაში არსებულ ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას" სარჩელთან დაკავშირებით (საქმე N3/2795-19).

დანართი: 27 ფურცელი. 3 CD დისკი.

თბილისის საქალაქო სასამართლო
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

| | |
|---|---|
| შემოსვლის თარიღი | 27.05.19 |
| შემოსვლის დრო | 2 |
| შემოსვლის № | 3ა13078 |
| ფურცლების რაოდენობა | [illegible] |

პატივისცემით,

ლევან დავითაშვილი

მინისტრი



# შესაგებელი
## ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო
სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა
კოლეგიას

*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის*

№5209/01
24 05 2019
9

საქმე №3/2795-19

ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"
მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება)

თამარ მეშველიანი
მოსამართლის სახელი და გვარი

**მოპასუხე:**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სახელი, გვარი (სახელწოდება)

პირადი (საიდენ.) ნომერი

ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6
ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

**მოპასუხის წარმომადგენელი:**

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი პირადი ნომერი ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

**საკონტაქტო პირი:**

გიორგი ლანჩავა
სახელი, გვარი

სახლის ტელ.

598 84 55 54
მობილური

ელექტრონული ფოსტა

*ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სარჩელის და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.*

*ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვეკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge*

# სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

დასაბარებელი პირის სტატუსი

სახით:

სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

ცნობთ თუ არა სარჩელს?

დიახ ☐

არა ☒

ნაწილობრივ ☐

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

## მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-6 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები.
მე-7 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები.

## დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?
**დიახ** ☐ რის საფუძველზე?
**არა** ☒

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?
**დიახ** ☐ რის საფუძველზე?
**არა** ☒

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?
**დიახ** ☐ რომელი საფუძვლით?
**არა** ☒

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?
**დიახ** ☐ რომელი საფუძვლით?
**არა** ☒

## მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

"შპს "RMG Gold"-ის არსებული "საყდრისის" გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციასა და ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე - მოედნების გაფართოებაზე (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 23 იანვრის N2-71 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნას არ ვეთანხმებით.

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

"შპს "RMG Gold"-ის არსებული "საყდრისის" გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციასა და ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე - მოედნების გაფართოებაზე (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 23 იანვრის 2-71 ბრძანება კანონის მოთხოვნათა სრული დაცვითაა გამოცემული და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი, კერძოდ:

2017 წლის 29 დეკემბერს (N7318) შპს ,,RMG GOLD''-მა სამინისტროში საჯარო განხილვის მიზნით წარმოადგინა დმანისის მუნიციპალიტეტში, არსებული ,,საყდრისის გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციასა და ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე-მოედნების გაფართოებაზე (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება)'' პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია, კერძოდ: "სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება შპს "RMG Gold"-ის არსებული "საყდრისის" გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე - მოედნების გაფართოება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში". ასევე წარმოდგენილი იქნა ტექნიკური და არატექნიკური რეზიუმე, გეოინფორმაციული სისტემების კოორდინატები და გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" 2017 წლის 27 დეკემბრის N261 ნომერი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, 2017 წლის 29 დეკემბერს, განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან სამინისტროში დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება შენიშვნებისა და წინადადებების მომზადების მიზნით.

დმანისის მუნიციპალიტეტში, არსებული „საყდრისის გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციასა და ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე-მოედნების გაფართოებაზე (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება)" პროექტის გზშ-ს ანგარიში განსახილველად და სათანადო შენიშნვების მოწოდების მიზნით გადაგზავნილ იქნა სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (05.01.2018 N119/01), ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტში (04.01.2018 N18), სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში (05.01.2018 N120/01), სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში (05.01.2018 N116/01), ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურში (04.01.2018 N19), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს-სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოში (05.01.2018 N118/01), ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტში (04.01.2018 N20).

სამინისტროს მიერ მომზადებული, პროექტთან · დაკავშირებული შენიშვნები საქმიანობის განმახორციელებელს გადაეგზავნა სამინისტროს 2018 წლის 20 თებერვლის N1458/01 წერილით. ასევე 2018 წლის 20 თებერვალს, დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში კანონმდებლობით დადგენილი წესით მოწყობილ საჯარო განხილვაზე აღნიშნული შენიშვნები საქმიანობის განმახორციელებელსა და დაინტერესებულ საზოგადოებას გააცნო სამინისტროს წარმომადგენელმა.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ადმინისტრაციული წარმოება, შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით დაიწყო 2018 წლის პირველ იანვრამდე, შესაბამისად, სამინისტროს მიერ გამოყენებული იქნა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილით მითითებული დათქმა, რომლის თანახმადაც 2018 წლის 1 იანვრამდე „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2018 წლის 1 იანვრამდე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის დადგენილი წესით. შპს "RMG Gold"-მა სამინისტროს მომართა "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონით გაწერილი პროცედურის შესაბამისად, 2017 წლის 29 დეკემბერს, შესაბამისად, აღნიშნული მომართვის რეგისტრაციიდან დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება სამინისტროში და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემული იქნა 2018 წლის პირველ იანვრამდე დადგენილი წესის მიხედვით.

2018 წლის 25 ოქტომბერს N13820 წერილით, შპს „RMG GOLD"-მა სამინისტროში წარმოადგინა დმანისის მუნიციპალიტეტში, არსებული „საყდრისის გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციასა და ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე-მოედნების გაფართოებაზე (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. აღნიშნულ ანგარიშში ასახული იქნა შპს „RMG GOLD"-ის მიერ მომზადებულ თავდაპირველ პროექტზე საჯარო განხილვის ეტაპზე მიღებული შენიშვნები და წინადადებები.

შპს „RMG GOLD"-ის მიერ წარმოდგენილი პროექტის სირთულის გათვალისწინებით, ასევე საჯარო განხილვის დროს სამინისტროს მიერ კომპანიისათვის წარდგენილი შენიშვნების მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო სპეციალისტების მიერ პროექტისა და მისი განთავსების არეალის დეტალური შესწავლა. შესაბამისად გამოცემული იქნა შპს „RMG Gold"-ის არსებული „საყდრისის" გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლა-მოედნების გაფართოების (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ" ბრძანება (09.11.2018 N2-911). „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 48-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 9 ნოემბრის N2-910 ბრძანების შესაბამისად ექსპერტიზის ჩატარების მიზნით შეიქმნა საექსპერტო კომისია, რომლის მიერ მომზადებულ იქნა ექსპერტიზის დასკვნა. ხოლო 2019 წლის

23 იანვარს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-71 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შპს ,,RMG GOLD''-ის არსებული ,,საყდრისის გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციასა და ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე-მოედნების გაფართოებაზე (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 23 იანვრის N2-71 ბრძანება გამოცემული იქნა კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, გათვალისწინებული იქნა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა და აღნიშნული ბრძანება გაცემული იქნა "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული პროცედურით.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია, შესაბამისად არ უნდა დაკმაყოფილდეს.

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:
სარჩელი უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია, შესაბამისად, სასამართლოს ვთხოვთ, უარი უთხრათ მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

# მტკიცებითი შუამდგომლობები

მოწმე

ფაქტობრივი გარემოება(ები)

ექსპერტი

ფაქტობრივი გარემოება(ები)

სპეციალისტი

ფაქტობრივი გარემოება(ები)

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.
1.

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

# სხვა სახის შუამდგომლობები

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?
**დიახ** ☐ რის საფუძველზე?
**არა** ☒

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?
**დიახ** ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?
**არა** ☒

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

**თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?**

**დიახ** ☐ მორიგების პირობები:

**არა** ☐ რადგან

## თანდართული საბუთების ნუსხა

დანართი 1: შპს "RMG Gold"-ის არსებული "საყდრისის" გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციასა და ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე - მოედნების გაფართოებაზე (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 23 იანვრის N2-71 ბრძანებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალა - 1 CD დისკი.
დანართი 2:

ფურცლების საერთო რაოდენობა: 1 CD დისკი.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ ☐

არა ☒ რადგან

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხდომაში რადგან

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ ☐

არა ☒ რადგან

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი: 00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ ☐

არა ☒ რადგან

**გთხოვთ, გაითვალისწინოთ!**
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

| ხელმოწერა | ლევან დავითაშვილი<br>ხელმომწერის სახელი, გვარი | 24/05/2019 წ.<br>შევსების თარიღი |
|---|---|---|

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.